საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაციწვერიანი

ვაციწვერიანი, მცენარეთა დაჯგუფება, რომელსაც ქმნის ვაციწვერა. გავრცელებულია საქართველოს აღმ. რაიონების ბარსა და სამხრ. მთიანეთში, ზეგნებზე (ჯავახეთი, თრიალეთი, ზურტაკეტი). აქ ვ-ები ან ტიპურ ველებს ქმნიან, ან მათი კომპონენტებია. ბარში აღსანიშნავია გარეჯის ვ. ველები, რ-ებიც შეთავსებულია ურიან ველებთან. აქ ვაციწვერასთან ყოველთვის ხარობს ურო, წივანა და სხვ. ვ-ის უფრო ქსეროფილურ ვარიანტებს ქმნის პონტოური ვაციწვერა (Stipa pontica) და ლესინგის ვაციწვერა (Stipa lessingiana); ხშირია წურწუმას (Stipa ca pillata) დაჯგუფებებიც, რ-ებიც ჩრდ. კავკასიაში ზამთრის საძოვრების ქვიშნარ ნიადაგზე იზრდება. მთის ველებიდან სამხრ. მთიანეთის ზეგნებზე (ზ. დ. 1800 – 2100 მ-მდე) გვხვდება ვაციწვერიან-წივანიანი, ხოლო უფრო მაღლა (2500 მ-მდე) – წვრილფოთოლა ვაციწვერას (Stipa tirsa) ვ-ები.

შ. ნახუცრიშვილი